

საერთაშორისო კავშირი “ადამიანი და ბუნება”

საქართველოში ანთროპოსოფიული მედიცინის განვითარება 1989 წლის 9 აპრილის ტრაგიკულ მოვლენებს უკავშირდება. ტოქსიკური გაზით მოწამლულთა სამკურნალოდ გერმანიიდან ჩამოვიდა ანთროპოსოფოს ექიმთა და მედიკოს სტუდენტთა ჯგუფი. მკურნალობის პროცესში მათ მიერ ჩამოტანილ მედიკამენტების ეფექტურობამ გამოიწვია ფართო საზოგადოებრიობის ინტერესი, რამაც განაპირობა თბილისში სხვადასხვა პროფესიის (ექიმი, ფარმაცევტი, ბოტანიკოსი, ფსიქოლოგი, მხატვარი) წარმომადგენელთა სამუშაო ჯგუფის შექმნა. ჯგუფმა მიზნად დაისახა ანთროპოსოფიულად ორიენტირებული მედიცინის შესწავლა და მისი პრაქტიკული განხორციელება საქართველოში.

1990 წლიდან დაიწყო საინიციატივო ჯგუფის რეგულარული სემინარული მუშაობა გერმანელი კოლეგების დახმარებით.

1991 წლიდან ჰერდეკეს და ოშელბრონის (გერმანია) კლინიკებში ამ ჯგუფის ექიმთა კვალიფიკაციის გავლის, ფარმაცევტის მიერ შვებიშგმუნდში (გერმანია) ფარმაციულ ფირმა “ველედა”-ში პრაქტიკის გავლისა და წამლების წარმოების სერტიფიკატის მოპოვების შემდეგ შესაძლებელი გახდა პრაქტიკულ საქმიანობაში პირველი ნაბიჯების გადადგმა.

პარალელურად ხდებოდა დიღმის შენობის მიმდებარე მიწის ნაკვეთზე სამკურნალო მცენარეთა ბაღის გაშენება.

1991 წლის ივლისში ოფიციალური რეგისტრაცია გაიარა მცირე სახელმწიფო საწარმომ “ადამიანი და ბუნება”, რომლის დამფუძნებლები იყვნენ ერთი მხრივ საქ. ჯან. დაცვის სამინისტრო და მეორე მხრივ საქ. მეცნიერებათა აკად. ბოტანიკის ინსტიტუტი.

1992 წელს შესაძლებელი გახდა პრაქტიკული სამუშაოს გაფართოება.

1993 წლისთვის ექიმების ამბულატორიულ მუშაობას დაემატა მოწვეული ნორვეგიელი სპეციალისტის მეშვეობით ხეოვნებითი თერაპია..მოგვიანებით(1996) წლიდან გერმანიაში განსწავლულმა სპეციალისტმა გააგრძელა მუშაობა.

1994 წელს ფირმა “ველედა”-ს მედიკამენტების საქართველოში რეგისტრაციის შედეგად გაფართოვდა აგრეთვე აფთიაქის პირობებში მათი ადგილობრივი წარმოების და შემოტანის შესაძლებლობაც.

1995 წლის ივნისში გაიარა ოფიციალური რეგისტრაცია საერთაშორისო კავშირმა “ადამიანი და ბუნება”, რომლის მიზანია საქართველოში ანთროპოსოფიულად ორიენტირებული მედიცინის განვითარების ხელშეწყობა. დღიდან დაარსებისა კავშირი ზრუნავს ამ მიზნით შექმნილ სხვადასხვა ინიციატივებზე. კავშირის წევრები არიან როგორც საქართველოს, ასევე ევროპის სხვადასხვა ქვეყნების (გერმანია, შვეიცარია, ნორვეგია, საფრანგეთი) მოქალაქეები. ამ ინიციატივებს ეხმარებიან ისინი, როგორც გამოცდილი ექიმები, მედლები, ფარმაცევტები.

კავშირი წარმოადგენს შპს “თერაპიის სახლი”-ს ერთპიროვნულ დამფუძნებელს, რომელიც 1996 წლიდან ორ შენობაში განთავსდა. ახალი შენობის შექმნასა და შეკეთებაში დიდი წვლილი შეიტანეს კავშირის “ადამიანი და ბუნება” ევროპელმა წევრებმა. აქვე დაიდო ბინა შემდგომში შპს “თერაპიის სახლი”-ს ექიმთა და სხვა დარგის სპეციალისტთა (სამკურნალო ევრიტიმია, ხელოვნებითი თერაპია, ფიზიოთერაპია) ამბულატორიამ და დღის სტაციონარმა, კლინიკურმა და ბიოქიმიურმა ექსპრესლაბორატორიამ, აფთიაქმა, სადაც გერმანული და შვეიცარული ფირმების “ველედა” და “ვალა” პრეპარატებისა და კოსმეტიკური საშუალებების შექმნაა შესაძლებელი. ყველა სამკურნალო და მოსავლელი საშუალება (აგრეთვე კოსმეტიკა) ბუნებრივ - მინერალურ, მცენარეულ და ორგანულ ნედლეულზეა დამზადებული.

შენობაში აგრეთვე განთავსდა კავშირის ფარგლებში არსებული მედდების კოლეჯი, შინ მოვლის სამსახურის ბიურო, საკონფერენციო დარბაზი და ბიბლიოთეკა.

შპს “თერაპიის სახლი”-ს ემსახურებოდა 6 ექიმი - ზოგადი თერაპიის, პედიატრიის, გინეკოლოგიის და ნევროლოგიის პროფილით. მიმდინარეობდა როგორც მწვავე და ქრონიკულ დაავადებათა მკურნალობა, ასევე შემდგომი რეაბილიტაცია. საჭიროების შემთხვევაში ექიმი, ექთანნი და ლაბორანტი ბინაზეც ემსახურებოდნენ პაციენტს.

1996 წლის ოქტომბერში კავშირის საინიციატივო ჯგუფის მიერ ჯან. დაცვის სამინისტროში მოეწყო ანთროპოსოფიული მედიცინის პრეზენტაცია, რომელიც უცხოელი ექსპერტების მონაწილეობით ჩატარდა. ამავე წელს შესაძლებელი გახდა მედიცინის მართვის სახ. ცენტრში ანთროპოსოფიული მედიცინის შესახებ ლექციების ჩატარება. სამედიცინო საზოგადოებაში წარმოქმნილ ინტერესს კავშირმა საექიმო სემინარის დაარსებით უპასუხა.

1998 წლიდან არსებობს და ღიაა ყველა ანთროპოსოფიული მედიცინით დაინტერესებული ექიმისა და სტუდენტისთვის.

ამავე წელს მომვლელი მედდების კოლეჯის ოფიციალური აღიარებისა და შესაბამისი რეგისტრაციის შემდეგ დაიწყო მედდების მეორე კურსის მომზადება, რომელიც დაფინანსდა ევროკავშირის “ტასის” ლიენ - პროგრამის ფარგლებში. ამავე პროექტით დაფინანსდა ორი წლის მანძილზე კავშირის ბაზაზე არსებული “შინმოვლის სამსახური”, რომლის თანამშრომლები ადგილობრივ ბაზაზე მომზადებული მაღალკვალიფიციური მომვლელები არიან. ამ სამსახურის გასამართად კავშირი დახმარებას იღებდა ჰოლანდიური ფონდის “CORDAID”, ღია საზოგადოება - საქართველოსა და გერმანული ფონდისაგან “SOFTWARE”. 2001 წლიდან კორდეიდის ფინანსურმა დახმარებამ შესაძლებელი გახდა სამედიცინო კოლეჯისა და შინმოვლის სამსახურის გარდა, კავშირის ბაზაზე ექთანთა გადასამზადებელი კურსების დაწყება.

საბაზისო სწავლებისა და გადასამზადებელი კურსების სასწავლო პროცესში, კავშირი “ადამიანი და ბუნება” აქტიურად თანამშრომლობდა საქართველოს ექთანთა ასოციაციასთან, რომელიც პასუხისმგებელია საქართველოში ამ დარგის განვითარებისათვის. 2001 წელს კავშირი გახდა ამ ასოციაციის წევრი

1999 წლიდან კავშირი “ადამიანი და ბუნება” პერიოდულად გამოსცემს ამავე სახელწოდების ალმანახს. წლების მანძილზე თარგმნილმა ლიტერატურამ საფუძველი ჩაუყარა კავშირის ფარგლებში საგამომცემლო საქმიანობას.

1999 წელს შეიქმნა ანთროპოსოფიულად ორიენტირებულ ექიმთა კავშირი, რომლის შემადგენლობაშიც გარდა თბილისში ამ მიმართულებით მომუშავე ექიმებისა, არიან საქართველოს სხვა ქალაქებში არსებული ინიციატივების წარმომადგენლები. ასევე ასოცირებულ წევრებად მასში ერთიანდებიან ფარმაცევტები და სხვა სპეციალისტები. ეს კავშირი გარკვეულწილად პასუხისმგებელია სახელმწიფოსთან საკანონმდებლო ურთიერთობის გამართვაზე და სამედიცინო რეფორმის პროცესში ანთროპოსოფიული მედიცინის სწორ ჩართვაზე.

ამავე წლის სექტემბერში ანთროპოსოფიულად ორიენტირებულ ექიმთა კავშირი დორნახში გაწევრიანდა ანთროპოსოფიულად ორიენტირებულ ექიმთა საერთაშორისო საზოგადოებაში.

1999 წელს კავშირთან “ადამიანი და ბუნება” დაიწყო ხელოვნებითი თერაპიის ერთჯერადი სამწლიანი კურსი, რის შედეგად მომზადდა ხელოვნებით თერაპევტთა ჯგუფი. კურსის პირველი გამოშვება იყო 2002 წელს.

2001 წელს კავშირთან “ადამიანი და ბუნება” მუშაობა დაიწყო ევრიტიმიის შემსწავლელმა კურსებმა.

2002 წელს კავშირთან “ადამიანი და ბუნება”-ს ბაზაზე, მკურნალი ევრიტიმისტიკისა და დაინტერესებული ექიმების ინიციატივით დაიწყო სამკურნალო ევრიტიმიის შემსწავლელი სამწლიანი კურსი ექიმებისათვის.

კავშირი “ადამიანი და ბუნება” აწყობს თერაპიის სახლის დარბაზში თვეში ერთხელ ღია ლექციებს, კულტურულ ღონისძიებებს (ევრიტიმიულ წარმოდგენებს) და აღნიშნავს წლის დღესასწაულებს.

პირველი კურსის გამოშვება იყო 2006 წელს და შვიდმა ექიმმა მიიღო სერტიფიკატი.

2002 წლის ნოემბერში კავშირის მიერ ორგანიზებული იქნა პირველი საზოგადო კონფერენცია სხვადასხვა დარგის ექიმებისთვის თბილისში, დასათაურებით “სალუტოგენეტიური პრინციპი ანთროპოსოფიულ მედიცინაში” გარდა ადგილობრივი ექიმებისა, აგრეთვე დოქტორი ქრისტოფ ტაუტცი გერმანიიდან დებულობდა მონაწილეობას. ეს კონფერენცია დაფინანსდა Software AG-Stiftung –ის მიერ.

ამის შემდეგ დიდი ხანი არ გასულა და ანთროპოსოფიულ ექიმთა კავშირი საქართველოს ექიმთა ასოციაციაშიც გაწევრიანდა.

2003 წელს თერაპიის სახლის ექიმმა, პედიატრიულ კვლევის ინსტიტუტთან თანამშრომლობით დაიცვა სამეცნიერო სადოქტორო ნაშრომი თემაზე: „ ბრონქული ასთმის მკურნალობა და პროფილაქტიკა ბავშვობის ასაკში, ანთროპოსოფიული

მკურნალობით შევსებული“ ასე მოხდა ანთროპოსოფიული მედიცინის აკადემიურ მეცნიერებაში ინტეგრირება.

2004 წლიდან მოხდა შინ მოვლის სამსახურის გაინტენსიურება.

2005 წელს შინ მოვლის სამსახურმა მონაწილეობა მიიღო პირველ საზოგადოებრივ აქტიურ ორგანიზაციების ფორუმზე საქართველოში. დაიწყო Home Care –ს კოალიციის წევრებთან თანამშრომლობა. სამი ექთანი რიტმული მასაჟის შესასწავლად მოსკოვში იქნა გაგზავნილი.

2006 დაიწყო ექიმთა სემინარის შემდგომი კურსი ანთროპოსოფიულ მედიცინაში და აგრეთვე ექთნების სასწავლებლის შემდეგი კურსი.

დაიწყო კვალიფიკაციის ამაღლების კურსი სამკურნალო ევრითიმიაში ექიმებისთვის და მკურნალ ევრითიმისტებისთვის.

მოხდა მონაწილეობა, „გერმანია-საქართველოს თანამშრომლობის, ბიომედიცინის მეცნიერების კონფერენციაზე მომხსენებლად მოწვეულ იქნა გერმანიიდან მედ. დოქტ. სტეფან შმიდტ-ტროშკე.

გაფართოებისთვის შეძენილ იქნა სახლი(შავი კარკასი).

2007 „ადამიანი და ბუნება“ გახდა შინმოვლის სამსახურის და ექთანთა კოალიციის თანადამფუძნებელი. ამ კოალიციის მიზანია, საქართველოში ჯანდაცვის რეფორმის პროცესში ჩართვა.

ასე გაიზარდა რეაბილიტაციის საქმიანობა, ამიტომაც გაფართოებისთვის შეძენილი შენობის გამოყენება უფრო მეტად საჩქარო გახდა.

დაიწყო შემდგომი ექიმთა სემინარის შემდგომი კურსი.

2008 მოგვიწია მედიკამენტთა საწარმოო შენობის ისევ მის მფლობელზე გადაცემა. ღადგანაც კანონის მიხედვით წარმოება და პროდუქცია ერთ შენობაში უნდა განთავსებულიყო. ამით კიდევ უფრო შემცირდა სამუშაო ფართი ძირითად შენობაში.

დაიწყო ახალი სასწავლო კურსი სამკურნალო ევრითიმიაში.

სამოქალაქო ომი და ფინანსური კრიზისი ჩვენს საქმიანობასაც შეეხო.

2009 წელს მთელი საქართველოს მაშტაბით ჩატარდა გადამზადებისა და კვალიფიკაციის კურსი მედლებისათვის, კოალიციის პროექტის ფარგლებში.

2009-2010 დაარსდა შინმოვლის სამსახურის კოალიცია, რომლის მიზანია: შინმოვლის სამსახურის დაფუძნება და სტრატეგიული დოკუმენტების შექმნა. (სახელმწიფოსაგან დახმარების, მისგან დაცვით გარემოში მოქცევა და საკუთარ პროექტებში ინტეგრირება) ამ საქმიანობის შექმნისათვის ხელშემწყობია საქართველოში – (Diakonisches Werk / გერმანია და Cordaid / ჰოლანდია)

კონკურსში გამარჯვება და განათლება, დაახლოებით 600 ექთანი საქართველოს ყველა რეგიონიდან „ჯანმრთელობის და სოციალურ პროექტების საქართველოში“ განაცხადით (სამთავრობო ორგანიზაცია).

2011 განათლების სამინისტროსთან/სთვის თანამშრომლობა, საექთნო და სამასაულო სტანდარტების შესადგენად.

2012 Ofa Bamberg (კომპრესიის წინდების დამამზადებელი) – როგორც ახალი პარტნიორი გერმანიიდან რეჰასაქმიანობის და ლიმფოლოგიაში. დერმატოლოგიის და სახსართა ქირურგიის კონგრესში მონაწილეობა, ახალი პროდუქტების წარმოჩინებით.

ჟურნალ **Merkurstab-** ში (მე-5, სექტემბერ/ოქტომბერი, 2012) გამოქვეყნდა პაციენტის შესახებ: ჰერიდიტერული ლიმფოდემის ანთროპოსოფიული მედიკამენტების მეშვეობით, ლიმფის დრენაჟით და სამკურნალო ევრითმით წარმატებული თერაპია.

1989 წლიდან მოკიდებული დღემდე არსებობს მრჩეველთა-წრე დასავლეთ ევროპაში, რომლებმაც სხვადასხვა სფეროში დიდი დახმარება გაგვიწიეს: მედ. დოქტ. ქრისტოფ თაუტცი, მედ. დოქტ. ეკჰარდ ფონ ლაუე, ცოლ-ქმარი ჰასაუერები, მედ. დოქტ. გაბრიელე გერეთცენი, ცოლ-ქმარი ვესენბერგები, ცოლ-ქმარი თინესი, მკურნალი ევრითმისტები ელენ ლოში და რობ კივიტი, მედ. დოქტ. ქრისტოფ ცერმი, მედ. დოქტ. დორთე ჰილგარდი, მედ დოქტ. ბერნარდ ულრიხი, ბატონი ჰერვიგ იუდექსი ფირმა “ვალა“-დან, მიხაელა ბუხჰოლცი, ედელგარდ გროსე - ბრაუკმანი, დოქტ. გუდრუნ მერკერი, დოქტ. რუდოლფ ნასტი, ოლაფ თითცე და სხვა.